მუხლი 23. სტუდენტთა სტიპენდიის დანიშვნის წესი და კრიტერიუმები

1. **სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების სწავლის მოტივაციის ამაღლებისა და წახალისების მიზნით არსებობს შემდეგი სახის სტიპენდიები:**

ა) სახელმწიფო სტიპენდია;

ბ) საუნივერსიტეტო სტიპენდია;

გ) სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ დაწესებული სტიპენდია;

დ) სახელობითი სტიპენდია.

2. **სახელმწიფო** სტიპენდიის დანიშვნა ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამით უნივერსიტეტისთვის გამოყოფილი ასიგნებებიდან აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტთა საერთო რაოდენობის 4% -ის სტიპენდიით უზრუნველსაყოფად, თითოეული სტუდენტისთვის 150 ლარის ოდენობით თვეში.

3. სტიპენდიების დანიშვნა ხორციელდება საგამოცდო სესიის ძირითად ვადებში მიღებული შედეგების საფუძველზე (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ძირითად ვადაში გამოცდის ჩაბარება შეუძლებელია ავადმყოფობის ან სხვა საპატიო მიზეზის გამო, რაც დადასტურებული იქნება სათანადო დოკუმენტით) სემესტრულად შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

ა) სტიპენდია ენიშნება სტუდენტს, რომელსაც ყველა საგანში აქვს შემდეგი შეფასებები: ფრიადი(A) და ძალიან კარგი(B);

ბ) სტუდენტთა სტიპენდიებისათვის გამოყოფილი თანხა გადანაწილდება ფაკულტეტების სტუდენტთა რაოდენობის პროპორციულად. სტიპენდიანტთა საერთო რაოდენობის ფარგლებში ფაკულტეტისათვის გამოყოფილ რაოდენობაში სტუდენტთა შერჩევა ხდება სტუდენტის მიერ მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გათვალისწინებით, რეიტინგის მიხედვით;

გ) იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდება რამდენიმე თანაბარქულიანი სტუდენტი, გათვალისწინებული იქნება ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა: სამეცნიერო და საზოგადოებრივი აქტიურობა, გამოქვეყნებული პუბლიკაციები და ასევე შესაძლებელია დამატებით გათვალისწინებული იქნეს სტუდენტთა სოციალური მდგომარეობა;

4. 50 სტუდენტს, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ წესით დადგენილ კრიტერიუმებს, მაგრამ ვერ მოხვდნენ სახელმწიფო სტიპენდიის პროგრამაში, დაენიშნებათ საუნივერსიტეტო სტიპენდია 62,5 ლარის ოდენობით.

5. სხვა ორგანიზაციიდან სტიპენდიების დანიშვნის შემთხვევაში, სტიპენდიის დანიშვნის წესსა და კრიტერიუმებს განსაზღვრავს თავად დონორი ორგანიზაცია.
6. სახელობითი სტიპენდიის დანიშვნის წესსა და კრიტერიუმებს შეიმუშავებს და ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.
7. სტუდენტთა სტიპენდიის დანიშვნის შესახებ სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებაში წარდგინებას აკეთებს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი.
8. სასწავლო განყოფილების წარდგინების საფუძველზე უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის შესახებ.